განკარგულება:**g-95. 95253153**

თარიღი:**11/11/2025**

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

თვითმმართველი თემის - ქედის მუნიციპალიტეტის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია, ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელ ჭალახმელაში მდებარე 3002 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 21.13.31.382).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა 2025 წლის 16 ოქტომბრის №7582/02 წერილით ითხოვს ზემოთ დასახელებული უძრავი ქონების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემას, შემდგომში აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე შესაბამისი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ს მიერ, გერმანია-საქართველოს ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში, ასევე ევროკავშირის დამატებითი დაფინანსებით მიმდინარეობს აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების გაწმენდის პროგრამა. აღნიშნული ღონისძიებებით დაგეგმილია აჭარის დაბებსა და სოფლებში წყალმომარაგებისა და წყალარინების კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მათშორის ქედის მუნიციპალიტეტში. რომლის განხორციელების შემდგომ შეიქმნება სტაბილური წყალმომარაგებისა და წყალარინების თანამედროვე, გამართული ინფრასტრუქტურა შემდგომში სათანადო ექსპლუატაციითა და უზრუნველყოფით. აღნიშნული მიზნით დაგეგმილია როგორც აჭარის/სახელმწიფო/მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ ქონებებზე, ასევე დაურეგისტრირებელ და კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე წყალმომარაგებისათვის (წყალამღები, წყლის გამწმენდი, რეზერვუარები და ა. შ.), ასევე წყალარინებისათვის (ჩაშვებული წყლების გამწმენდი) საჭირო ნაგებობებისა და შესაბამისი სანიტარული ზონების მოწყობა.

ზემოთაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას მთავრობის მოთხოვნა ზემოთ დასახელებული ერთი ერთეული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტისა და 108-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცეს საჯარო რეესტრში თვითმმართველი თემის ქედის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებული ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელ ჭალახმელაში მდებარე 3002 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 21.13.31.382).

2. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემული ქონების სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაცია და მისი მიღებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიების გატარება.

3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი